თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 9

ქ.თერჯოლა 1 ოქტომბერი 2024 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. თემურ ქოჩიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ფრიდონ გვენეტაძე, 2. მერაბი ბასილაძე, 3. ივანე ჩუბინიძე, 4. როლანდი მესხი, 5. შალვა ჭანკვეტაძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 6
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ-29.2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282427479, 30.09.2024 წ.);

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ.33.09.36.202 მიწის ნაკვეთიდან 262 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, პირდაპირი იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282427530, 01.10.2024 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტიოს ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282427531, 01.10.2024 წ.).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ-29.292401000 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - დაემატა 1 ობიექტი, ქონების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივარტიზებო საფუსარად განისაზღვრა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხა.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -6 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №გ-29.2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ.33.09.36.202 მიწის ნაკვეთიდან 262 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, პირდაპირი იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გადაცემა)

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა, ისინი წინააღმდეგი არიან აღნიშნული მიწის ნკვეთის იჯარის ფორმით გადაცემაზე.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -1 , წინააღმდეგი - 5

გადაწყვიტეს: არ შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თერჯოლაში მდებარე ქონება ს.კ.33.09.36.202 მიწის ნაკვეთიდან 262 კვ.მ. სარგებლობის უფლებით, პირდაპირი იჯარის ფორმით, 15 წლის ვადით გადაცემა)

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტიოს ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - ნაკვეთი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს შემდგომში სსიპ ,,საქართველოს ეროვნული მუზეუმისათვის უსასყიდლოს საკუთრებაში გადაცემის მიზნით, რომელიც გამოთქვამს მზაობას განახორციელოს შალვა და პეტრე ამირანაშვილების სახლმუზეუმის რეაბილიტაცია და გაიზარდოს მისი ცნობადობა საერთაშორისო დონეზე.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -6 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტიოს ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის

(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე
ბადრი ბუცხრიკიძე